# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 175

„5“ დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში თავისუფლების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გიორგი მაყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილებისა და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6–17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2–ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში თავისუფლების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ენერგეტიკოს გიორგი მაყაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე  გიორგი ალიბეგაშვილი


X_478951.1889
Y_ 4630487.8672
X_479995.6621
Y_ 4630215.2681
X_479268.564
Y_ 4629903.267
გიორგი მაყაშვილის ქუჩა
გიორგი მაყაშვილის ქუჩა